საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010134008328521

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40–51–48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№16763 23 / დეკემბერი / 2021 წ.

სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“
თავმჯდომარეს,
ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო დებულებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მიზნით უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობას ან/და სახელმწიფო წარმომადგენლობის კოორდინაციას. აღნიშნული მიზნებისთვის სამინისტრო ყოველწლიურად სარგებლობს უცხოური იურიდიული კომპანიების თუ ექსპერტების მომსახურებით. საერთაშორისო არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში განსახილველი საქმეები მაღალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა. ასეთი დავები უკავშირდება უცხოურ ინვესტიციებს, მნიშვნელოვან სახელმწიფო პროექტებს, განსაკუთრებულ ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს. იურიდიული ან საექსპერტო მომსახურების დაყოვნებამ შესაძლოა, გამოიწვიოს სახელმწიფოს პოზიციების არასათანადოდ წარდგენა და, შესაბამისად, გაზარდოს საარბიტრაჟო ან უცხო ქვეყნის სასამართლო პროცესში სახელმწიფოსთვის არასასურველი შედეგის დადგომის რისკი. ამ დავებზე სახელმწიფო წარმომადგენლობა მოითხოვს საერთაშორისო არბიტრაჟსა და უცხო ქვეყნის სასამართლოში წარმომადგენლობის სპეციფიკურ კვალიფიკაციასა და გამოცდილებას, ამიტომ იურიდიული კომპანიებისა თუ ექსპერტების შერჩევა ხორციელდება აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

მიმდინარე დავებზე სახელმწიფო წარმომადგენლობა უწყვეტი პროცესია, რომელიც მოიცავს პერიოდს საარბიტრაჟო შეტყობინების მიღებიდან საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, ხოლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ – ამ გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ან გადაწყვეტილების მიმართ განსახორციელებელ სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებულ პროცესს. ყოველ საქმეზე ეს პერიოდი განსხვავებულია და შესაძლოა, შეიცვალოს (გახანგრძლივდეს/გადაიდოს) არბიტრაჟის პროცესის მსვლელობისას. ანალოგიურად, განუსაზღვრელია დავების მშვიდობიანი მოგვარების პერიოდი, რომელიც უწყვეტი პროცესია. აღნიშნული პროცესების შეჩერება დაუშვებელია, ხოლო ამ პროცესში სახელმწიფო წარმომადგენლობის შეფერხება ან სათანადო დონეზე განუხორციელებლობა დაკავშირებულია სერიოზულ რისკებთან; კერძოდ, შესაბამისი იურიდიული ან საექსპერტო მომსახურების დაყოვნებამ შესაძლოა, გამოიწვიოს სახელმწიფოს პოზიციების არასათანადოდ წარდგენა, საფრთხე შეუქმნას მტკიცებულებების შეგროვება/წარდგენას და, შესაბამისად, საარბიტრაჟო ან სასამართლო პროცესში ან დავის მოგვარების მოლაპარაკებებში გამოიწვიოს სახელმწიფოსთვის არასათანადო შედეგის დადგომა.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად იურიდიული მომსახურების შესყიდვა ხდება 2009 წლიდან სახელმწიფოთაშორისი დავების ფარგლებში. აღნიშნულ საქმეებზე იურიდიული მომსახურების შესყიდვა ხორციელდებოდა იურისტისგან (Benedict Emmerson QC), რომელიც საქმის საწყისი ეტაპიდანვე იყო ჩართული პროცედურებში და კარგად იცნობს საქმის სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებს. სხვა პირებისგან იურიდიული მომსახურების შესყიდვა გამოიწვევს მეტი დროისა და ფინანსური რესურსის დახარჯვას, რადგან საჭირო იქნება კომპლექსური საქმის თავიდან შესწავლა, რაც ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ შეზღუდულ ვადებში შესაძლოა, ვერ მოესწროს და საფრთხე შეექმნას სახელმწიფო ინტერესების სათანადოდ წარმოდგენას.

აქვე აღსანიშნავია, რომ, მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის № 29 და 2021 წლის 15 იანვრის № 31 განკარგულებების საფუძველზე, 2020-2021 წლებში საჭირო იურიდიული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, რომელიც, არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, არ დასრულებულა 2021 წელს და მათთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესები გაგრძელდება მომდევნო წლებშიც. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მათზე გავრცელებულია დადგენილისაგან განსხვავებული პირობები. შესაბამისად, ხსენებული ხელშეკრულებების ფარგლებში მომსახურების გაწევა და ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, დავის დასრულებამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით აუცილებელია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიეცეს უფლება, სახელმწიფოს წარმომადგენლობის განხორციელების ფარგლებში შესაბამისი იურიდიული და სხვა სახის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (გაფორმებული/ გასაფორმებელი) 2022 წლის განმავლობაში განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ასევე, შესყიდვის სპეციფიკიდან გამომდინარე, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის“ 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2022 წელს იურიდიული მომსახურებების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულებ(ებ)ის მიმართ არ გავრცელდეს ამავე წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-11 მუხლის პირველი და 1¹ პუნქტებით, მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, ასევე, მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის შესაბამისად, გთხოვთ თქვენს თანხმობას სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით იურიდიული და სხვა სახის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების საკითხზე.

პატივისცემით,

საქართველოს იუსტიციის მინისტრის
მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

აკაკი საღირაშვილი